19.11.2021

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2021 წლის ოქტომბერი

ძირითადი შედეგები

• **მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 3.4 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 0.8 პროცენტით;

• **სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.04 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით არ შეცვლილა;

• **მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.4 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 17.4 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



19.11.2021

მწარმოებელთა ფასების ინდექსი
სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 3.4 პროცენტით. ფასების 0.3 პროცენტით ზრდა დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე. ამასთან, ფასები 16.4 პროცენტით შემცირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე. აღსანიშნავია ფასების მატება დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.7 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 0.8 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 0.8 პროცენტით, დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.5 პროცენტით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები შემცირდა 6.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ოქტომბერში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**99.2**	**-0.83**
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	100.8	0.67
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	93.5	-1.32
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	100.5	0.02

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

19.11.2021

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ჯამური ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.04 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასები გაიზარდა 0.4 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი არ შეცვლილა. აღნიშნულ პერიოდში უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.1 პროცენტით, ხოლო სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 0.2 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ოქტომბერში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**100.0**	**0.00**
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100.1	0.02
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	99.8	-0.02

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

19.11.2021

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 0.4 პროცენტით. ფასების კლება დაფიქსირდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 0.5 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 0.2 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 17.4 პროცენტით. საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 10.4 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები 20.6 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის ოქტომბერში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის ოქტომბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**117.4**	**17.43**
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	120.6	14.01
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	110.4	3.42

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:
გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge